საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის

ბრძანება №23/ნ

2024 წლის 12 თებერვალი

ქ. თბილისი

„უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების (სსმ, 09.01.2007, №3, მუხ. 22) პირველი პუნქტით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანთლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის“ მე-4 მუხლს მე-7 პუნქტის შემდგომ დაემატოს 7^1 და 7^2 პუნქტები შემდეგი რედაქციით:

„7^1. უმაღლესი განათლების შესაბამისი დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სახელოვნებო-შემოქმედებითი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია ითვალისწინებდეს შემოქმედებითი/საშემსრულებლო პრაქტიკული სახის პროექტის/ნამუშევრის შეფასების შემდეგ სისტემას:

ა) წარმატებით ჩააბარა – 91-100 ქულა;

ბ) ჩააბარა – 51-90 ქულა;

გ) ვერ ჩააბარა – 50 ქულა და ნაკლები.

7^2. ამ მუხლის 7^1 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასების გადაყვანას ამ მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილ შეფასების სისტემაზე.“.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლების,
მეცნიერებისა და ახალგაზრდობის **გიორგი ამილახვარი**
მინისტრი